



ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი



სოფიკო კვინიკაძე

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი
ქიმიის მიმართულება

დიპიროლოზენზოქინოქსალინისა და დიპიროლონაფტოდიფენის
ბირთვის შემცველი ფიშერის ფუძის ახალი ბის-ანალოგების გარდაქმნები
და კვლევა

სამაგისტრო ნაშრომი

სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი	შოთა სამსონია	აკად. ქ.მ.დ. პროფესორი
სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელები	შოთა სამსონია მარინა ტრაპაიძე	აკად. ქ.მ.დ. პროფესორი ქ.მ.დ. ასოც. პროფესორი

თბილისი
2019 წელი

სარჩევი

ანოტაცია	4
შესავალი	6
2. ლიტერატურული მიმოხილვა	9
2.1 2-მეთილენინდოლინური ფუძეები	9
2.1.1 ინდოლისა და ჩანაცვლებული ინდოლების ალკილირების.....	9
რეაქციები.....	9
2.1.2 ნაჯერი რიგის კეტონების არილჰიდრაზონების ციკლიზაცია.....	13
2.1.3 რეაქციები მჟავათა ამიდებთან.....	17
2.1.4 აზომეულლების რეაქციები.....	19
2.1.5 ფიშერის ფუძეების ფორმირება ვილსმაიერის რეაქციით	21
2.2 ფიშერის ფუძის ბის-ანალოგები იზომერული ინდოლინდოლებისა და ბენზოპიროლოინდოლის ბაზაზე	22
2.3 „ფიშერის ალდეჰიდების“ ბის-ანალოგები.....	23
2.4 Pass Online -მიმოხილვა	23
3. ექსპერიმენტული მონაცემების განსჯა.....	25
3.1 საწყისინივთიერებების სინთეზი.....	26
3.1.1. 2,3-ნაფთილენდიჰიდრაზინი (2).....	26
3.1.2. 2,3,3,8,8,9 - ჰექსამეთილ-3,8-დიჰიდრობენზო[e]პიროლო[3,2-g]ინდოლი(3)	26
3.1.3 1,5,6,9-ტეტრაჰიდრო-1,1,2,8,9,9-ჰექსამეთილ-4H-დიპიროლო-[1,2,3-e,f:3,2,1- n,o]ნაფტო[2,3-b][1,4]დიაზეპინის დიბრომიდი (4)	26
3.1.4 1,5,6,9-ტეტრაჰიდრო-1,1,9,9-ტეტრამეთილ-2,8-დიმეთილენ-4H-დიპიროლო-[1,2,3- e,f:3,2,1-n,o]ნაფტო[2,3-b][1,4]დიაზეპინი (5).....	27
3.1.5. 1,4,5,8-ტეტრაჰიდრო-1,1,2,7,8,8-ჰექსამეთილდიპიროლო-[1,2,3-d,e:3,2,1-i,j]ბენზო [g] ქინოქსალინის დიბრომიდი(6).....	27
3.1.6 1,4,5,8-ტეტრაჰიდრო-1,1,8,8-ტეტრამეთილ-2,7-დიმეთილენდიპიროლო	28
[1,2,3-d,e:3,2,1-i,j]ბენზო[g]ქინოქსალინი (7).....	28
3.2 ახალი ნივთიერებების სინთეზი	29
3.2.1 დიპიროლონაფტოდიაზეპინის ფიშერის ფუძის გარდაქმნები.....	29

3.2.2 დიპროლოზენზო ქინოქსალინის გარდაქმნები	48
4. ახალი ბის-სპიროქრომენების ფოტოქრომული თვისებების შესწავლა	53
5. მიღებული ნივთიერებების ბიოლოგიური აქტიურობის შესწავლა Pass პროგრამის მეშვეობით.....	59
6. ექსპერიმენტული ნაწილი.....	64
დასკვნა	71
8. გამოყენებული ლიტერატურა.....	72

ანოტაცია

ახალი, უფრო ეფექტური და ნაკლებად ტოქსიკური პრეპარატების შექმნა თანამედროვე ქიმიური და ფარმაცევტული კვლევების ერთ-ერთი მთავარი მიზანია. მსოფლიო გამოცდილება მიუთითებს იმაზე, რომ სამკურნალო პრეპარატთა აქტიური ინგრედიენტების დიდი ნაწილი ჰეტეროციკლურ ნაერთებს მიეკუთვნება. მეცნიერული და პრაქტიკული თვალსაზრისით საინტერესოა ერთ მოლეკულაში ორი ან მეტი სხვადასხვა ჰეტეროციკლური ფრაგმენტის გაერთიანება, რაც ფართო სპექტრის ფიზიოლოგიური აქტიურობის მქონე ახალი სუბსტანციების შექმნის შესაძლებლობას იძლევა.

წარმოდგენილი სამუშაოს თემად ჩვენ მიერ შერჩეულია დიპიროლონაფტოდიაზეპინისა და დიპიროლობენზოქინოქსალინის ბირთვის შემცველი „ფიშერის ფუძის“ ბის-ანალოგების საფუძველზე ახალი ბის-სპიროპირანების მიღება. დამუშავდა კონკრეტული ნივთიერებების სინთეზის პრობები. სინთეზირებული ახალი ნაერთების სტრუქტურის დასადგენად ჩატარდა სპექტრული გამოკვლევები. მათი სავარაუდო ბიოლოგიური აქტიურობა შევისწავლეთ Pass Online პროგრამის გამოყენებით, რომელიც საშუალებას გვაძლევს სტრუქტურის საფუძველზე წარმოდგენა შევიქმნათ თუ რა ტიპის ბიოლოგიური აქტიურობით შეიძლება ხასიათდებოდნენ საკვლევი ნაერთები. მომზადდა ქრომატოგრაფიულად სუფთა ნიმუშები სინთეზირებული ბის-სპიროპირანების ფოტოქრომული თვისებების შესწავლის მიზნით ულტრაიისფერი სპექტრული გამოკვლევისათვის.

დიპიროლობენზოქინოქსალინისა და დიპიროლონაფტოდიაზეპინის ბირთვების შემცველი ახალი ნაერთების სინთეზი და კვლევა მიგვაჩნია პერსპექტიულად როგორც ახალი ბიოლოგიურად აქტიური ნაერთების სინთეზისათვის, ასევე ახალი, გაუმჯობესებული ფოტოქრომული თვისებების მქონე ბის-სპიროპირანების ძიების მიზნით.

Abstract

The creation of new, more efficient and less toxic drugs are one of the main tasks of the modern chemical and pharmaceutical research. The world experience points to the fact that the most part of the active ingredients of medicinal products belong to heterocyclic compounds. It is interesting the combination of two or more different heterocyclic fragments in one molecule that enables the creation of new substrates with a wide range of physiological activity.

The compounds containing quinoxaline and diazepine nuclei are psychoactive substances that impact on the central nervous system. Dipyrrolonaphtodiazepine methyl base because of multilateral reaction ability is extremely interesting and perspective in future, in the field of synthesis of wide spectrum biologically active compounds.

The proposed work is to produce new bis-spiropyrans on a base of fisher base bis-analogues dipyrrolonaphtodiazepine and dipyrrolobenzoquinoxaline. Conditions of a synthesis of compounds were developed. Spectrometric research of synthesized new compounds were carried out. Their presumed bioactivity was studied by PASS Online program which through the structure enables to make sense what type of bio-activity can be characteristic for the samples. Chromatoraphically pure samples were developed to study photochromic properties of synthesized bis-spiropyrans for UV-spectrum research.

The study of their properties is perspective as for the synthesis of new biologically active compounds, as well as for the search of new bis-spiropyrans with improved photochromic properti

შესავალი

მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევების პარალელურად, იზრდება ეკოლოგიური პრობლემები, რომელიც დაბინძურებულ გარემოსთან და არაჯანსაღ საკვებთან ერთად დიდ გავლენას ახდენს ადამიანის ჯანმრთელობაზე. მეცნიერული და პრაქტიკული თვალსაზრისით, საინტერესოა ერთ მოლეკულაში ორი ან მეტი სხვადასხვა ჰეტეროციკლური ფრაგმენტის გაერთიანება, რაც ფართოსპექტრის ფიზიოლოგიური აქტიურობის მქონე ახალი სუბსტანციების შექმნის შესაძლებლობას იძლევა.

2-მეთილენინდოლინური ფუძეები, „ფიშერის ფუძეები“, რეაქციისუნარიანი მნიშვნელოვანი შუალედური პროდუქტებია მრავალი სხვადასხვაგვარი ორგანული ნაერთის სინთეზისათვის. თსუ ორგანული ქიმიის კათედრაზე მიღებულია 2-მეთილენინდოლინის, ე.წ. „ფიშერის ფუძის“, ბის-ანალოგები იზომერული დიპიროლონაფთალინების ბაზაზე. მათი გარდაქმნის რეაქციების შედეგად მიღებულია ახალი ბიფუნქციური ნაერთები: „ფიშერის ალდეჰიდების“ ბის-ანალოგები, დიაზონაერთები, ბის-სპიროპირანები. განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა ბენზოპიროლო-ინდოლის - საფუძველზე სინთეზირებული ფუძე - ბენზოდიპირო ლოქინოქსალინის დიმეთილენ ნაწარმი, რომლის ბაზაზე მიღებული ბის-სპიროპირანები ამჟღავნებენ მკვეთრად გამოვლენილ ფოტოქრომულ თვისებებს. გარდა ამისა, ბის-სპიროპირანები საინტერესო ობიექტებია ახალი ბიოლოგიურად აქტიური ნაერთების ძიების მიზნით. წინასწარი გათვლები ჩატარდა Pass online პროგრამის მეშვეობით.

წარმოდგენილ სამაგისტრო ნაშრომში გრძელდება კვლევა ახალი ფოტოქრომული და ამავდროულად, ბიოლოგიურად აქტიური ნაერთების ძიების მიზნით. ამისათვის თავდაპირველად სინთეზირებულ იქნა ახალი საბაზისო ნაერთები, ე.წ. „ფიშერის ფუძის“ ახალი ბის-ანალოგები ჰექსამეთილდიჰიდრო-ბენზობენზო[e]პიროლო[3,2-g]ინდოლის საფუძველზე. ისინი რეაქციისუნარიანი ნაერთებია, მათი მოლეკულები შეიცავენ ბიოლოგიურად საინტერესო ქინოქსალინისა და დიაზეპინის ბირთვებს. უნდა აღინიშნოს, რომ ქინოქსალინისა და დიაზეპინის ბირთვის შემცველი ნაერთები ფსიქოაქტიური ნივთიერებებია. ბენზოდიაზეპინის ბირთვი შედის მრავალ პრეპარატში, რომლებიც ხასიათდებიან საძილე, შფოთის საწინააღმდეგო, დამამშვიდებელი, კრუნჩხვის საწინააღმდეგო მოქმედებით, რელაქსაციური ეფექტით. ეს პრეპარატები გამოიყენება ისეთი დაავადებების სამკურნალოდ მაგალითად როგორცაა ეპილეფსია, ალკოჰოლიზმი, ფსიქიკური აშლილობა და სხვა. აღსანიშნავია პრეპარატი ელენიუმი ,

რომელსაც დამამშვიდებელი ეფექტი გააჩნია და იწვევს კუნთების მოდუნებას. ასევე ფსიქიკური დაავადებების დროს ფართოდ გამოიყენება პრეპარატი დიაზეპამი.

აქედან გამომდინარე წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომის თემად შერჩეულ იქნა დიპიროლონაფტოდიანეპინისა და დიპიროლობენზოქინოქსალინის ბირთვის შემცველი „ფიშერის ფუძის“ ბის-ანალოგების საფუძველზე ახალი ბის-სპიროპირანების მიღება და ასევე მათ მოლეკულებში ზოგიერთი ელექტროფილური ჩანაცვლების რეაქციის ჩატარება.

მათი თვისებების შესწავლა მიგვაჩნია პერსპექტიულად როგორც ახალი ბიოლოგიურად აქტიური ნაერთების სინთეზისათვის, ასევე, გაუმჯობესებული ფოტოქრომული თვისებების მქონე ბის-სპიროპირანების ძიების მიზნით, რაც დღეისათვის აქტუალური ამოცანაა.

Pass online პროგრამის მეშვეობით შესწავლილ იქნა „ფიშერის ფუძის“ ახალი ბის-ანალოგის - დიპიროლონაფტოდიანეპინის დიმეთილენური ნაწარმის და მის საფუძველზე ადრე მიღებული სამი ახალი ბის-სპიროპირანის (სოფო კვინიკაძე, საბაკალავრო ნაშრომი, თსუ, 2017 წ.) სავარაუდო ბიოლოგიური აქტიურობა.

აღმოჩნდა, რომ მაღალი პროცენტული ალბათობით, მათ ახასიათებთ Antieczematic -80%, Antiischemic, Cerebral – 75% აქტიურობა. ასევე, ქინოქსალინის ბირთვის შემცველი ფიშერის ფუძის ბის-ანალოგებიც და მის საფუძველზე მიღებული ბის-სპიროპირანებიც ამჟღავნებენ მაღალ ბიოლოგიურ აქტიურობას (Antieczematic-78%, Ovulation inhibitor-76%).

სამაგისტრო ნაშრომში კვლევის ამოცანებია: საწყისი ნივთიერებების დაგროვება. მიღებული ფიშერის ფუძის ბის-ანალოგების - დიმეთილენდიპიროლონაფტოდიანეპინისა (1) და დიმეთილენდიპიროლობენზოქინოქსალინის (2) კონდენსაციის რეაქციების შესწავლა სხვადასხვა ალდეჰიდთან ახალი ბის-სპიროპირანების სინთეზის მიზნით.

- დიპიროლონაფტოდიანეპინის ფიშერის ფუძის კონდენსაციის რეაქციები: 2-ჰიდროქსი-5-ნიტრობენზალდეჰიდთან, დიბრომსალიცილის ალდეჰიდთან, ქლორნიტროსალიცილის ალდეჰიდთან. დადგინდება რეაქციის ოპტიმალური პირობები;
- დიპიროლობენზოქინოქსალინის ფიშერის ფუძის კონდენსაციის რეაქცია ნაფტ-ალდეჰიდთან. დადგინდება რეაქციის ოპტიმალური პირობები;
- ვილს-მაიერის რეაქცია დიპიროლონაფტოდიანეპინის ფიშერის ფუძესთან;

- დიპიროლობენზოქინოქსალინის ფიშერის ფუძის ნიტროზირების რეაქცია.

ჩატარდა სინთეზირებული ნაერთებისათვის ინფრაწითელი, ულტრაიისფერი და ბ.მ.რ. სპექტრული ანალიზი. ნიმუშები მომზადდა მას-სპექტრული გამოკვლევებისათვის.

სამაგისტრო ნაშრომის სამეცნიერო ღირებულებაა თითოეული მიღებული და შესწავლილი ახალი ნივთიერება.

ნაშრომი შესრულებულია შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში, მაგისტრანტთა სასწავლო - კვლევითი პროექტების გრანტით დაფინანსების 2019 წლის კონკურსის შედეგად.


2. ლიტერატურული მიმოხილვა

2.1 2-მეთილენინდოლინური ფუძეები

2-მეთილენინდოლინური ფუძეები წარმოადგენენ მნიშვნელოვან შუალედურ პროდუქტებს მრავალი ორგანული ნაერთის სინთეზისათვის. მათგან მიიღება მრავალრიცხოვანი საღებრები, რომლებიც გამოიყენებიან სინთეზური ბოჭკოს, ტყავის, ზამბის შესაღებად [1], ასევე სენსიბილიზატორებად შუქმგრძობიარე მასალებში, თხევადკრისტალურ და ნახევრადგამტარულ ლაზერებში. დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს 2-მეთილენინდოლინებიდან სინთეზირებულ ფოტო- და თერმოქრომულ მასალებს, რომლებმაც გამოიყენება ჰჰოვეს ფოტოგრაფიაში შუქფილტრების, ასლგადამღები მასალების დასამზადებლად, ინფორმაციის ჩაწერისა და შენახვისათვის. ინფორმაციის ჩასაწერად გამოიყენება მეთილენინდოლინური ფუძეების აზოშეუღლების რეაქციებიც.

2-მეთილენინდოლინური ფუძეების ნაწარმებიდან ცნობილია ნაერთები, რომელთაც აღმოაჩნდათ სიმსივნის საწინააღმდეგო აქტიურობა.

2-მეთილენინდოლინების უმარტივესი წარმომადგენელია ფიშერის ფუძე:



არსებობს 2-მეთილენინდოლინური ფუძეებისა და მათი მეოთხეული მარილების სინთეზის რამდენიმე მეთოდი:


1. ინდოლისა და ჩანაცვლებული ინდოლების ალკილირების რეაქციები;
2. N-ნაჯერი რიგის კეტონების არილჰიდრაზონების ციკლიზაცია;
3. α -ჰალოგენ და α -ჰიდროქსიკეტონების ურთიერთქმედება ანილინთან.

2.1.1 ინდოლისა და ჩანაცვლებული ინდოლების ალკილირების რეაქციები

მეთილენინდოლინური ფუძეების მიღება ხდება ინდოლებისა და ჩანაცვლებული ინდოლების გაცხელებით ჰალოგენალკილებთან მაღალი წნევის პირობებში.

(სქემა 1):

სქემა 1



ფიშერის ფუძე **6** მიიღება 2-მეთილინდოლის (1) მეთილიოდიდთან ურთიერთქმედებით მეთანოლის არეში 80%-იანი გამოსავალით. რეაქცია მიმდინარეობს მირჩილულ ამპულაში ან ავტოკლავეში 1000°C ტემპერატურაზე [2]. რეაქციის დროს ხდება შუალედური პროდუქტების წარმოქმნა: 2,3-დიმეთილინდოლის (2); 2,3,3-ტრიმეთილინდოლენინის (3) და 2,3,3-ტრიმეთილინდოლენინის იოდმეთილატის (4). ეს უკანასკნელი სარეაქციო არიდან გამოიყოფა კრისტალების სახით, რომელსაც ფილტრავენ და ამუშავებენ 10%-იანი ტუტის ხსნარით, რის შედეგად მიიღება ფიშერის ფუძე **5**.

ფიშერის ფუძის ანალოგები მიიღება ინდოლის მოლეკულაში მეთილის რადიკალების სხვა ალკილებით შეცვლისას, ან ბენზოლურ ფრაგმენტში სხვადასხვა ჩამნაცვლებლების შეყვანით. ამ მეთოდით, 2-მეთილ-3-ეთილინდოლის, 5-აცეტილინდოლის, 5-ტრიფთორმეთილ-2,3-დიმეთილინდოლისა და მეთილიოდიდისაგან სინთეზირებულია 1,3-დიმეთილ-3-ეთილ-2-მეთილენინდოლინი, 5-აცეტილ- და 5-ტრიფთორმეთილ-1,2,3,3-ტეტრამეთილინდოლინის იოდიდები [3-4].

ინდოლების მეთილიოდიდით ალკილირებისას ატმოსფერული წნევის პირობებში ნატრიუმის აცეტატის თანაობისას რეაქცია ჩერდება 2,3,3-ტრიმეთილინდოლენინის წარმოქმნის სტადიაზე. მითითებულ პირობებში 7-ნიტრო-2,3-დიმეთილინდოლის ალკილირებით მიიღება 7-ნიტრო-2,3,3-ტრიმეთილინდოლენინი [5]. მაგრამ 400°C ტემპერატურაზე წყლიანი ტუტით დამუშავებისას ფიშერის ფუძე მთლიანად გარდაიქმნება 1,3,3-ტრიმეთილ-2-იზოპროპილილენინდოლად (**6**).


2-ფენილინდოლის ალკილირების რეაქცია მეთილიოდიდთან იძლევა 1,2,3-ტრიმეთილ-3-ფენილინდოლენინის იოდიდს [6]. ამ პროცესის დროს ხდება ფენილის ჯგუფის მიგრაცია ინდოლის რგოლის მეორე მდგომარეობიდან მესამე მდგომარეობაში

(პლანშეს გადაჯგუფება). ანალოგიური გარდაქმნა დაფიქსირებულ იქნა 1,3,3-ტრიმეთილ-2-ფენილინდოლენინის იოდატის გაცხელებით 120-1800 °C –ზე. [7].


ინდოლის ალკილირების რეაქციის დროს მეთილიოდიდის ნაცვლად გამოიყენება სხვა ჰალოგენალკილებიც, მაგ: ეთილიოდიდი [2]. აღსანიშნავია, რომ ეს უკანასკნელი უფრო ძნელად შედის რეაქციაში 2-ალკილ- და 1,2-დიალკილინდოლებთან, ვიდრე მეთილიოდიდი. თუ 2-მეთილინდოლს და ეთილიოდიდს ეთანოლის არეში გავაცხელებთ მირჩილულ ამპულაში, მაშინ 1,3,3-ტრიმეთილ-2-მეთილენინდოლინი მიიღება დაბალი გამოსავლიანობით 40% [2]. ერიქსონისა და კიმის მიერ [8] აღწერილია 1,2,3-ტრიმეთილინდოლინის ალკილირების რეაქცია ქლორაცეტონიტრილით და ბრომაცეტოფენონით.

ინდოლის რგოლში ბის (ალკოქსიკარბონილ) მეთილის ჯგუფის შეყვანა 1,2,3-ტრიმეთილინდოლის ჰალოგენმალონატებთან ურთიერთქმედებით ვერ მოხერხდა [6], მაგრამ 1,2,3-ტრიმეთილინდოლის ბრომმარმუვასთან გაცხელებით მიიღება მეოთხეული მარილი **7** (სქემა 2). სარეაქციო არის ტუტით დამუშავებისას მოსალოდნელი ფიშერის ფუძის **8** წარმოქმნის ნაცვლად აღინიშნება ლაქტონის **9** წარმოქმნა, რომელიც ბრომწყალბადის მოქმედებით კვლავ გარდაიქმნება მეოთხეულ მარილად **7** [8].

სქემა 2





1,2-დიმეთილინდოლის ბრომიან ალილთან ურთიერთქმედებისას აღინიშნება თანამდე რეაქციაც. 2-მეთილენინდოლინის (**10**) წარმოქმნასთან ერთად აღინიშნება ჩანაცვლებული ინდოლის **11** წარმოქმნაც [9], როგორც ჩანს, ენამინის **10** მეთილენური ჯგუფის ალკილირებისა და ამ ნაერთის მესამე მდგომარეობიდან ერთი ალილის ჯგუფის დაკარგვის გამო:



თანამდე რეაქცია არ აღინიშნება 2,3-დიმეთილინდოლის ურთიერთქმედებით ალილ- ან პროპილბრომიდთან. ამ შემთხვევაში 61-63% გამოსავლიანობით მიიღება 2,3-დიმეთილ-3-ალილ- და 2,3-დიმეთილ-3-პროპილინდოლენინი [9].

2-მეთილენინდოლინების მიღება ხელსაყრელია ინდოლის N-მაგნიუმოდიდის ურთიერთქმედებით ალილ-ჰალოგენებთან და მათი შემდგომი მეთილირებით, შუალედური 2,3-დიმეთილ-3-ალკილინდოლენინების წარმოქმნით (სქემა 3):

სქემა 3



რეაქცია მიმდინარეობს შედარებით რბილ პირობებში: ატმოსფერული წნევისა და დაბალი ტემპერატურის დროს. ამ გზით 2,3-დიმეთილინდოლილ-N-მაგნიუმოდიდიდან და შესაბამისი ჰალოგენალკილებიდან მიიღება ნაერთები **12 a-g** [8-10].


აღსანიშნავია, რომ 2-მეთილენინდოლინური ფუძის მიღება ასევე შეიძლება ინდოლების დიჰალოგენკარბენით ალკილირებისას. ასეთი რეაქციის მაგალითად შეიძლება განვიხილოთ 1,2,3-ტრიმეთილინდოლის ურთიერთქმედება დიქლორკარბენთან, რის შედეგადაც მიიღება 1,3-დიმეთილ-3-დიქლორმეთილ-2-მეთილენინდოლინი. დიქლორკარბენის წარმოქმნა ხდება ქლოროფორმზე ნატრიუმის ეთილატის მოქმედებით, ან ნატრიუმის ტრიქლორაცეტატის თერმული დეკარბოქსილირებით. 1,2,3-ტრიმეთილინდოლის ურთიერთქმედებით დიქლორ-ფთორმეთანთან მწვავე ნატრიუმის ჰიდროქსიდისა და ბენზილტრიეთილამონიუმის ქლორიდის თანაობისას მიიღება 1,3-დიმეთილ-3-ქლორფთორმეთილ-2-მეთილინდოლინი [11] 2,3-დიმეთილინდოლისა და

დიქლორ-ქლორფთორკარბენების, როგორც გამოსავალი ნივთიერებების გამოყენების შემთხვევაში მიიღება შესაბამისი ინდოლინები.

2-მეთილინდოლის მეთანოლსა და მარილმჟავასთან ერთად ავტოკლავში გაცხელებისას და სარეაქციო არის შემდგომი გატუტიანებით მიიღება ფიშერის ფუძე მაღალი გამოსავლიანობით 75%, ხოლო მეთილის სპირტის ეთილის სპირტით შეცვლისას მიიღება 1,3,3-ტრიეთილ-2-მეთილენინდოლენინი. ინდოლის ალკილირებას დიმეთილ-სულფატით ან დიეთილსულფატით აწარმოებენ ქლორბენზოლის თანაობისას ან დიალკილსულფატით თუთიის ოქსიდის, კალციუმის კარბონატის და თუთიის თანაობისას. ამ მეთოდით 2,3-დიმეთილინდოლისა და 2-მეთილინდოლის დიმეთილსულფატით დამუშავებისას თუთიის ოქსიდის თანაობისას გამოყოფილ იქნა 1,2,3,3-ტეტრა-მეთილინდოლენინის მეთოსულფატი 90%-იანი გამოსავლიანობით.

აღწერილია 2-მეთილინდოლისა და 2,3-დიმეთილინდოლის ალკილირების რეაქციები ბენზოლსულფომჟავასა და პარატოლუოლსულფომჟავას მეთილის ეთერებით, რომლის დროსაც ფიშერის ფუძის გამოსავლიანობა მერყეობს 85-86%-ის ფარგლებში. საუკეთესო შედეგი იქნა მიღწეული ბენზოლსულფომჟავას მეთილის ეთერის გამოყენების დროს. დიმეთილსულფატი წარმოადგენს ერთ-ერთ საუკეთესო რეაგენტს ალკილირების რეაქციის დროს, რომლის გამოყენებითაც 2,3-დიმეთილინდოლისაგან მიღებულ იქნა ფიშერის ფუძე 83%-ის გამოსავლიანობით.

2,3-მეთილინდოლის ალკილირებისას 3-დიმეთილამინობენზალდეჰიდით, მარილ-მჟავას თანაობისას, პირველ სტადიაზე წარმოიქმნება მეოთხეული მარილი **13**, რომელიც ამიაკით დამუშავების შემდეგ მეთანოლში გარდაიქმნება შესაბამის 2-მეთილინდოლინად:



13


2.1.2 ნაჯერი რიგის კეტონების არილჰიდრაზონების ციკლიზაცია

უფრო ხშირად მეთილენინდოლინური ფუძეები მიიღება არომატული ჰიდრაზონების **16** ციკლიზაციის შედეგად (სქემა 4) მჟავე კატალიზატორების – განზავებული გოგირდმჟავას, კონც. მარილმჟავას [12], ცინულოვანი მმარმჟავას [13-14], თუთიის

ქლორიდის და სხვათა თანაობისას. ჰიდრაზონების **16** ციკლიზაცია შესაძლებელია აგრეთვე კატალიზატორის გარეშე – მაღალი ტემპერატურის პირობებში ($\approx 200-2100^{\circ}\text{C}$).

თუ ჰიდრაზონი **16** შეიცავს წყალბადის გარდა სხვა R-ჩამნაცვლებელს, მისი ციკლიზაციისას წარმოიქმნება მეოთხეული მარილი **17**, რომელიც ტუტით დამუშავების შემდეგ გადადის მეთილენინდოლინურ ფუძეში **18**. ასე მაგ. მეთილიზოპროპილკეტონის ურთიერთქმედებით თუთიის ქლორიდთან აბსოლუტურ სპირტში, მიიღება ნაერთი **18** ($\text{R}^1=\text{C}_6\text{H}_5$, $\text{R}^2=\text{R}=\text{CH}_3$) [15].

სქემა 4




ანალოგიურად შესაბამისი ჰიდრაზონებიდან **16** მიიღება ფუძეები **18** ($\text{R}=\text{R}^2=\text{CH}_3$, $\text{R}^1=\text{p-H}_3\text{COC}_6\text{H}_4$, $\text{R}^3=\text{R}^4=\text{H}$ [53]; $\text{R}=\text{n-CH}_3\text{C}_6\text{H}_4$, $\text{R}^1+\text{R}^2=(-\text{CH}_2-)_5$, $\text{R}^3=5-\text{CH}_3$, $\text{R}^4=\text{H}$ [27]).

ფიშერის ფუძეების სინთეზი უშუალოდ ჰიდრაზინიდან **14**, რომელიც წყალბადის ნაცვლად R-ჩამნაცვლებლის შემცველია და კეტონიდან **15**, მიმდინარეობს ჰიდრაზინისა და კეტონის გახურებით ძმარმჟავაში, ან ძმარმჟავასა და კეტონის გახურებით დიმეთილფორმამიდში. ამ გზით მიიღება ნაერთი **18**, 42-50% გამისავლიანობით ($\text{R}=\text{C}_6\text{H}_5$, $\text{R}^1=\text{R}^2=\text{CH}_3$, $\text{R}^3=\text{R}^4=\text{H}$).

ჰიდრაზონების 16 ციკლიზაციისას, რომლებიც შეიცავენ ჩამნაცვლებლებს არომატული ბირთვი მეტამდგომარეობაში, შეიძლება წარმოიქმნას როგორც 4-, ასევე 6-ჩანაცვლებული ინდოლენინები. მაგალითად, მეთილიზოპროპილკეტონის მეტა-ტრიფთორმეთილჰიდრაზონის ძმარმჟავით და სამფთორიანი ბორის ერთერთ დამუშავების შემდეგ მიიღება იზომერული 4- და 6-ტრიფთორმეთილ-2,3,3-


ტრიმეთილინდოლენინების ნარევი (44% და 56%, შესაბამისად) [4]. ამავე დროს, მეტანიტროჩანაცვლებული მეთილიზოპროპილკეტონის ჰიდრაზონისაგან სინთეზირებულია მხოლოდ 4-ნიტრო-2,3,3-ტრიმეთილინდოლენინი და მეტა-იზოპროპილკეტონის 3-მეთოქსი ჩანაცვლებული ჰიდრაზონისაგან მიიღება 6-მეთოქსი-2,3,3-ტრიმეთილინდოლენინი.

ნაჯერი რიგის კეტონები α და β -ნაფთილჰიდრაზონების მჟავების მოქმედებით განიცდიან ციკლიზაციას ბენზინდოლენინების წარმოქმნით [16]. 2,3,3-ტრიმეთილინდოლენინების შესაბამისი ჰეტეროციკლური ანალოგები მიიღება შესაბამისი ჰიდრაზონებისაგან. მეთილიზოპროპილკეტონის 2-პირიდილჰიდრაზინის გახურებით თუთიის ქლორიდთან მიიღება 2,3,3-ტრიმეთილ-7-აზაინდოლენინი (**20 a**) [17]. ანალოგიურად, შესაბამისი ჰიდრაზონიდან მიიღება 2,3,3-ტრიმეთილ-4-აზაინდოლენინი (**20 b**) [18].



ბისჰიდრაზონების ციკლიზაციას მივყავართ ბისინდოლენინებამდე. ამ მეთოდით სინთეზირებულია ბის (2,3,3-ტრიმეთილინდოლენინ-5-ილ) სულფონი (**21**) (სქემა 5), აგრეთვე ნაერთები **22**, **23** [19-20]:

სქემა 5




ინდოლენინები **19** შეიძლება მიღებულ იქნას ჰიდრაზონების **14** (R=H) ურთიერთქმედებით კეტონებთან **15** ჰიდრაზონების გამოყოფის სტადიის გარეშე **16** (სქემა 4). ამ რეაქციის მაგალითად გამოდგება 2,3,3-ტრიმეთილინდოლენინის სინთეზი ფენილჰიდრაზინის ურთიერთქმედებით მეთილიზოპროპილკეტონთან კონც. გოგირდმჟავას თანაობისას. ინდოლენინები იოდ-, ბრომ- და ქლორალკილების

მეშვეობით გადადიან მეთილინდოლენური ფუძეების მეოთხეულ მარილში. 1,2,3,3-ტეტრამეთილინდოლენინი მიიღება 74% გამოსავლიანობით, 2,3,3-ტრიმეთილინდოლენინის მეთილიოდით დამუშავების შედეგად.

ინდოლენინების **19** ურთიერთქმედება ალკილჰალოგენიდებთან მიმდინარეობს ორგანულ გამხსნელებში (ეთანოლი, ტოლუოლი, ქლოროფორმი [21] და სხვ.) გაცხელებით ან მაალკილირებელი აგენტის ჭარბად აღებისას [4, 22]. როგორც წესი, რეაქცია მიმდინარეობს ატმოსფერული წნევის პირობებში, მაგრამ ზოგჯერ რეაქციას ატარებენ მირჩილულ ამპულაში ან ავტოკლავში. მეოთხეული მარილი **17** გადაჰყავთ 2-მეთილინდოლენინებში **18** კალიუმის ან ნატრიუმის ტუტით [12], სოდით [13], ტრიეთილამინებით ან სხვა ფუძეებით დამუშავებით.

ინდოლენინებისა და მათი მარილების ალკილირებისათვის გამოიყენება დიმეთილსულფატი [19-22], დიეთილსულფატი, ბენზოსულფომჰაჰას ეთერები [23], ტოლუოლსულფომჰაჰავები [24], აგრეთვე კარბონილური ჯგუფის შემცველი ელექტროფილური ოლეფინები.

სქემა 6




2,3,3-ტრიმეთილ-3H-ინდოლენინის პერქლორატის **24** გაცხელებით ორთქლის აბაზანაზე მეთილვინილკეტონთან, ან მითითებული რეაგენტების ურთიერთქმედებით ოთახის ტემპერატურაზე აცეტონიტრილში, იღებენ მეოთხეულ მარილს **25**. ეს უკნასკნელი NaOH-ით დამუშავების შედეგად გადადის მეთილინდოლენინში **26**. ხოლო პირიდინში გაცხელებით წარმოქმნის ნაერთ **27** [16]. მეოთხეული მარილის **24**

ურთიერთქმედებით მეთილენილკეტონთან ოთახის ტემპერატურაზე დიმეთილაცეტამიდში, მიიღება ნაერთი **28** (სქემა 6).

2,3,3-ტრიმეთილინდოლენინის **29** დიეთოქსიკარბონილციკლოპროპენდიბენზოფურანით დამუშავების შედეგად მიიღება 2-მეთილენინდოლინი **31** (სქემა 7). რეაქცია მიმდინარეობს ცვიტერიონის წარმოქმნით **30** [25].


სქემა 7



2.1.3 რეაქციები მჟავათა ამიდებთან

2-მეთილენინდოლინები მეთილენის ჯგუფის საშუალებით იოლად შედიან ფორმირების რეაქციებში დიმეთილფორმამიდისა და ფოსფორქლოროქსიდის კომპლექსთან. ამ მეთოდით ფიშერის ფუმიდან **5** მიიღება ფიშერის ალდეჰიდი - α-ფორმილ-1,3,3-ტრიმეთილ-2-მეთილენინდოლინი (**33**), (სქემა 8), [29] უმნიშვნელოვანესი ნახევარპროდუქტი ციანინური და ჰემიციანინური საღებარების სინთეზისათვის:

სქემა 8




ფიშერის ალდეჰიდი და მისი ჩამნაცვლებლები მიღებულ იქნა აგრეთვე მეთილფორმანილიდის გამოყენებით. ფოსფორის ქლოროქსიდის ნაცვლად შესაძლებელია ფოსგენის, თიონილქლორიდის ან სულფურილქლორიდის გამოყენება. ანალოგიურად მიმდინარეობს მეთილენურ ჯგუფში ჩანაცვლებული ინდოლინური

ფუძეების ფორმირება. მაგ. 1,3,3-ტრიმეთილ-2-ეთილიდენ- და 1,3,3-ტრიმეთილ-2-ციანომეთილენინდოლინი [29].

საინტერესოა შრომები [28], სადაც α -ფორმილ-1-(β -ქლორეთილ)-3,3-დიმეთილ-2-მეთილენინდოლინი **35** სინთეზირებულია 3a,4,4-ტრიმეთილოქსაზოლიდინო[3,2-a]ინდოლინზე **34** ვილსმაიერის კომპლექსის მოქმედებით (სქემა 9) რეაქციის მსვლელობისას თავდაპირველად ხდება ოქსაზოლიდინური ბირთვის გახსნა, ხოლო შემდეგ წარმოქმნილი მეთილენური ფუძის ფორმირება. ამავდროულად β -ჰიდროქსიეთილის ნაშთში ჰიდროქსილის ჯგუფი ჩაინაცვლება ქლორის ატომით.

სქემა 9




ვილსმაიერის რეაქციაში მეთილენინდოლინური ფუძის ორჯერადი სიჭარბით ალების შემთხვევაში, მიიღება კარბოციანინური საღებარი. ამ უკანასკნელის მიღება შეიძლება მეთილენინდოლინური ფუძისა და ამიდის ექვივალენტური რაოდენობით ალების შემთხვევაშიც და ამიდის სიჭარბის დროსაც, ინდოლინის მარილების გახურებით დიმეთილფორმამიდისა და ფოსფორის ქლოროქსიდთან ტრიეთილამინის თანაობისას, ან ბის(ტრიმეთილსილილ)ფორმამიდთან უკატალიზატოროდ.

დიდ პრაქტიკულ ინტერესს იწვევს მეთილენინდოლინური ფუძეების რეაქციები NNN-ეთილ-4-ფენილსულფონილნაფთოლაქტამ-1,8-თან, (1,3,3-ტრიმეთილენინდოლინი-ლიდენ-2)აცეტანილიდთან, NNN-ფორმილ-2,3,3-ტრიმეთილენინდოლინთან, რომლებსაც მივყავართ ციანინური საღებარების წარმოქმნამდე **36** (იხ. ცხრილი 1).

ცხრილი 1

ამიდი	რეაქციის პროდუქტი
	<p style="text-align: center;">36</p>




მეროციანული და კარბოციანური საღებარების მისაღებად გამოიყენება 2-მეთილ-ინდოლების მეოთხეული მარილების ურთიერთქმედების რეაქციები ძმარმჭავას ამიდებთან, რომელსაც თან ახლავს აცეტამიდური ჯგუფის მოხლეჩა. მაგ. 1-ეთილ-2,3,3-ტრიმეთილინდოლენინის იოდინი 5-აცეტანილიდომეთილენ-3-ეთილროდანინთან გვაძლევს მეროციანინს 37. ანალოგიურადაა სინთეზირებული ნაერთი 38 (იხ. ცხრილი 1).

2.1.4 აზოშეუღლების რეაქციები

2-მეთილენინდოლინები შეუღლებაში შედიან დიაზონიუმის მარილებთან 39 ტიპის ჰიდრაზონების წარმოქმნით. ამ უკანასკნელთა ტუტით დამუშავებით მიიღება აზონაერთები 40, რომლებიც შემდგომი ალკილირებით გადადიან კატიონურ ჰიდრაზონულ საღებარებში 41. ქვემოთ მოყვანილი სქემის მიხედვით, ფიშერის ფუძისა და ქლორიანი ბენზოლდიდიაზონიუმისაგან მიიღება აზონაერთი 40 ($R=R'=R^2=CH_3$, $R^3=R^4=R^5=H$), რომლის ალკილირებით მიიღება 41 ($R=CH_3$, $Y=CH_3SO_4$) (სქემა 10).


სქემა 10



ანალოგიურად მიღებულია საღებარები 1,3,3-ტრიმეთილ-2-ეთილინდოლენიდან და ქლორიანი 3-მეთოქსიფენილდიაზონიუმიდან, ასევე ფიშერის ფუმიდან და კარბაზოლის რიგის მარილებიდან, დიბენზოთიოფენიდან, დიბენზოთიოფენიდან, დიფენილმეთანის 4,4'-ბისდიაზოქსანოვებულებიდან და სხვა ჩანაცვლებული მეთილინდოლენური ფუძეებიდან და დიაზონიუმის სხვადასხვა მარილებიდან. კატიონურმა ჰიდრაზონულმა საღებავებმა გამოყენება ჰპოვეს სინთეზური ქსოვილები, ტყავის, ბამბის, საბეჭდი პასტების და ბურთულებიანი ავტოკალმების დამზადებაში და სხვა მიზნებისათვის.

მეთილინდოლენური ფუძისა და დიაზონიუმის მარილების ურთიერთქმედება მიმდინარეობს 0-5°C განზავებულ ძმარმჟავაში ან მარილმჟავაში. აზონაერთს 40 გამოყოფენ სარეაქციო ნარევის ნეიტრალიზაციით ნატრიუმის ტუტით ან ნატრიუმის აცეტატით. აღკვირებას კი ატარებენ დიმეთილსულფატით ორგანულ გამხსნელებში (დიქლორეთანში, ქლორბენზოლში) ან წყალში მჟავადამჭერ აგენტთა – მაგნიუმის ოქსიდის, ტრიზოპროპილამინის, მწვავე ნატრიუმის და სოდის თანაობისას. დიმეთილსულფატთან ერთად ზოგჯერ იყენებენ სხვა დიალკილსულფატებს, აგრეთვე ეთილენის ოქსიდს. უკანასკნელ შემთხვევაში აღკვირებას ატარებენ ძმარმჟავაში, კატიონურ საღებარს 41 ($R^6=C_2H_4OH$) გამოყოფენ სარეაქციო არის ნატრიუმის ქლორიდით დამუშავებით.


ინდოლენინის მარილთა აზომუქლელებს, განსხვავებით თავისუფალი ფუძეებისაგან, ატარებენ პირიდინის არეში. აღწერილია ბის-აზონაერთის 125 სინთეზი, რომელიც მიმდინარეობს 2 მოლი 3-ქლორფენილდიაზონიუმის ქლორიდსა და 1 მოლ 1,2,3,3 – ტეტრამეთილინდოლენინის მეთოსულფატს შორის, წყლის, პირიდინისა და აცეტონის ნარევში.



კატიონური საღებარი 41 მიიღება 3a,4,4-ტრიმეთილოქსაზოლიდინო[3,2-a]ინდოლინის ქლორიან 3-მეთოქსიფენილდიაზონიუმთან ურთიერთქმედებით. როგორც ჩანს, რეაქციის დროს ხდება საწყისი ჰეტეროციკლის ოქსაზოლიდინური ციკლის გახსნა და შუალედური 1-(β-ჰიდროქსიეთილ)-3,3-დიმეთილ-2-მეთილინდოლენინდოლენის წარმოქმნა.

საინტერესო შედეგებია მიღებული ფიშერის ფუძის შეერთებით **43** სტრუქტურის მარილებთან:

სქემა 11



რეაქციის პროდუქტების ნატრიუმის ტუტით დამუშავებით მიიღება **44** ნაერთები. შემდგომი დამუშავებით ხდება ჰეტეროციკლის შეკვრა და კატიონური საღებარების **45** წარმოქმნა (სქემა 11).

მეთილენინდოლინური ფუძეების აზოშეუღლების რეაქციები გამოიყენება ინფორმაციის ჩასაწერად ქაღალდზე დაიტანება კომპოზიცია, რომელიც შეიცავს დიაზონიუმის მარილისა და 2-მეთილ-1,3,3-ტრი-ალკილინდოლენინის მარილის ნარევს. გახურებით ინდოლენინის მარილი გარდაიქმნება თავისუფალ ფუძედ, რომელიც შეუღლდება დიაზონიუმის მარილთან. ქაღალდზე ჩნდება შეღებილი ანაბეჭდი.

2.1.5 ფიშერის ფუძეების ფორმირება ვილსმაიერის რეაქციით

2-მეთილენინდოლინები რეაქციისუნარიანი ნაერთებია. შესწავლილია 2-მეთილენინდოლინის ბის-ანალოგების რეაქციისუნარიანობა.


განვიხილოთ ვილსმაიერ-ჰააკის რეაქცია, რომელიც ფორმილნაწარმების მიღების ერთ-ერთი გავრცელებული მეთოდია. ეს რეაქცია წარმატებით გამოიყენება ინდოლოინდოლების სხვადასხვა ფორმილნაწარმების მისაღებად, ფორმილნაწარმები კი თავის მხრივ, გამოიყენებიან ახალი ნივთიერებების სინთეზისთვის [30,31, 32].

ფორმირება ხორციელდება საწყისი ნივთიერებისა და ვილსმაიერის კომპლექსის სხვადასხვა თანაფარდობის პირობებში.

2-მეთილენინდოლინები ადვილად ფორმირდებიან მეთილენის ჯგუფში ვილსმაიერის რეაქციის პირობებში დიმეთილფორმამიდისა (DMFA) და POCl₃-სგან მომზადებული კომპლექსით. ამ მეთოდით ფიშერის ფუძისგან ღებულობენ α-ფორმილ-

1,3,3-ტრიმეთილ-2-მეთილენინდოლინს (სქემა 12), ე.წ. ფიშერის ალდეჰიდს. იგი არის უმნიშვნელოვანესი შუალედური პროდუქტი ციანინური და ჰემიციანინური საღებრების მისაღებად [28].


სქემა 12



2.2 ფიშერის ფუძის ბის-ანალოგები იზომერული ინდოლოინდოლებისა და ბენზოპიროლოინდოლის ბაზაზე

თსუ ორგანული ქიმიის კათედრაზე განხორციელებული იყო ფიშერის ფუძის ბის-ანალოგების (48,51,54) სინთეზი იზომერული ინდოლოინდოლებისა და ბენზოპიროლოინდოლის ბაზაზე შემდეგი სქემით 13 .


სქემა 13



საწყის ნივთიერებებად ფიშერის ფუძეების მისაღებად სინთეზირებული იყო იზომერული ჰექსამეთილდიპროლონაფთალინები **47**, **50**, **53** ლიტერატურიდან ცნობილი [19] სქემის შეცვლილი ვარიანტით. სინთეზები განხორციელებულ იქნა ერთ საფეხურად ნაფთილენდიჰიდრაზინების კონდენსაციით მეთილიზოპროპილკეტონთან და ერთდროული ციკლიზაციით ძმარმჟავაში შუალედური დიჰიდრაზონების გამოყოფის გარეშე [29,30].

2.3 „ფიშერის ალდეჰიდების“ ბის-ანალოგები

ზემოთ აღწერილი ფიშერის ფუძეების ბის-ანალოგების **48**, **51** საფუძველზე იმავე ავტორების [31] მიერ სინთეზირებულია იზომერული ინდოლოინდოლების შემცველი ე.წ. „ფიშერის ალდეჰიდების“ ბის-ანალოგები: 2,7-დი(ფორმილმეთილიდენ-1,3,3,6,8,8-ჰექსამეთილინდოლინო[7,6-*g*]ინდოლინი(**55**) და 2,9-დი(ფორმილმეთილიდენ-1,1,3,8,10,10-ჰექსამეთილინდოლინო [4,5-*e*] ინდოლინი (**56**). სინთეზი განხორციელებულია ვილსმაიერის რეაქციის პირობებში.



2.4 Pass Online -მიმოხილვა

PASS (Prediction of Activity Spectra for Substances) წარმოადგენს პროგრამულ პროდუქტს, რომელსაც ჩვენ ვიყენებთ ახლად მიღებული ნივთიერებების სავარაუდო ბიოლოგიური აქტიურობისა და ტოქსიკურობის შესაფასებლად. ქიმიურ ნაერთთა ბიოლოგიური აქტიურობის სპექტრი სხვადასხვა სახის ბიოლოგიური აქტიურობის ნაკრებს წარმოადგენს, რომელიც მოცემული ნაერთის სხვადასხვა ბიოლოგიურ ობიექტთან ურთიერთობის შედეგს ასახავს. ვინაიდან და რადგანაც მიღებული

ნივთიერებები შეიცავენ დიაზეპინისა და ქინოქსალინის აქტიურ ბირთვებს, ამიტომ ვვარაუდობთ რომ საბოლოო პროდუქტებიც გარკვეული აქტიურობის მატარებლები იქნებიან.

PASS უზრუნველყოფს ორგანული ნაერთის სტრუქტურის საფუძველზე მრავალი სახის ბიოლოგიური აქტიურობის (3678 სახის) ერთდროულ შეფასებას პროგნოზირების საშუალო სიზუსტით 95%-ით. 1000 ნაერთის ბიოლოგიური აქტიურობის სპექტრის გათვლას 2,4 ჰც სიხშირის პროცესორზე მხოლოდ 10 წამი სჭირდება, რაც მსხვილი ლოკალური და კომერციული მონაცემთა ბაზებში არსებული ნაერთების ბიოლოგიური აქტიურობის სპექტრის პროგნოზირებისათვის PASS-ის ეფექტურად გამოყენების საშუალებას იძლევა.

P_a (probability „tobeactive“) და P_i (probability „tobeinactive“) აფასებს იმის ალბათობას, რომ საკვლევი ნაერთი მიეკუთვნება აქტიური/არააქტიური ნაერთების ქვეკლასს (მსგავსია მოლეკულების სტრუქტურის, რომლებიც ყველაზე ტიპურია PASS-ის ბიბლიოთეკის შესაბამის „აქტიური/არააქტიური“ ქვესიმრავლეში. ახალი ნივთიერების ბიოლოგიური აქტივობის პროგნოზირებული სპექტრის შესაბამისად, მისი ტესტირება შეიძლება ორგანიზებულ იქნას აქტივობის სხვადასხვა სახისათვის ($P_a - P_i$) სხვაობის შემცირების კვალობაზე. ამ შემთხვევაში, ახალი ნაერთის უსაფრთხოება და ეფექტურობა უფრო კომპლექსურად იქნება დახასიათებული.

2017 წელს, საბაკალავრო ნაშრომისთვის დავასინთეზეთ ე.წ. „ფიშერის ფუძის“ ახალი ბის-ანალოგი, დიპიროლონაფტოდიანის დიმეთილენური ნაწარმი და მის საფუძველზე მივიღეთ სამი ახალი ბის-სპიროპირანი. შევისწავლეთ როგორც საწყისი ნივთიერების, ასევე ბის-სპიროპირანების სავარაუდო ბიოლოგიური აქტიურობა Pass online პროგრამის მეშვეობით.

გამოვლინდა, რომ მაღალი პროცენტული ალბათობით, მათ ახასიათებთ Antieczematic -80%, Antiischemic, Cerebral – 75% აქტიურობა. ასევე, ქინოქსალინის ბირთვის შემცველი ფიშერის ფუძის ბის-ანალოგებიც და მის საფუძველზე მიღებული ბის-სპიროპირანებიც ამჟღავნებენ მაღალ ბიოლოგიურ აქტიურობას (Antieczematic-78%, Ovulation inhibitor-76%).


3. ექსპერიმენტული მონაცემების განსჯა

წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომი მოიცავს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ორგანული ქიმიის კათედრაზე მიმდინარე სამენიერო-საკვლევო სამუშაოების გაგრძელებას ახალი სპირო ნაერთების სინთეზისა და შესწავლის სფეროში. ჩვენ მიზნად დავისახეთ ძირითადი საბაზისო პროდუქტის სახით მიგველო ფიშერის ფუძის ახალი ბის-ანალოგი დიპიროლონაფტო[1,4]დიაზეპინის დიბრომიდის საფუძველზე. სამუშაოს შემდეგ ამოცანას წარმოადგენს სინთეზირებული ახალი ფიშერის ფუძის გარდაქმნების ჩატარება. ჩვენს ინტერესს შეადგენდა ბის-სპიროქრომენების სინთეზი გაუმჯობესებული თვისებების მქონე ფოტოქრომის მისაღებად.

ბისპიროპირანები საინტერესოა არიან იმ მხრივ, რომ ორივე პირანული ფრაგმენტის ერთდროულად გახსნისას შეუძლებელია ჯაჭვი მნიშვნელოვნად იზრდება და ფოტონდუცირებული ფორმის შთანთქმის ზოლის მაქსიმუმი განიცდის ძლიერ ბატოქრომულ წანაცვლებას. ექსპერიმენტული სამუშაო შედგება ორი ნაწილისაგან. პირველი ეტაპი – საწყისი ნივთიერებების სინთეზი და დაგროვება. მეორე ეტაპი – ახალი ნაერთების სინთეზი.

კვლევისათვის საჭირო საკვანძო ნივთიერება - 1,5,6,9-ტეტრაპიდრო-1,1,2,8,9,9-ჰექსამეთილ-4H-დიპიროლო[1,2,3-e,f;3,2,1-n,o]ნაფტო[2,3-b][1,4]დიაზეპინი ჩვენს მიერ მიღებულია ლიტერატურაში აღწერილი მეთოდიკით 2,3-დიჰიდროქსინაფთალინიდან მოცემული სქემის მიხედვით [19]:

სქემა 1




3.1 საწყისი ნივთიერებების სინთეზი

3.1.1. 2,3-ნაფთილენდიჰიდრაზინი (2)

2,3-დიჰიდროქსინაფთალინის (1) ურთიერთქმედებისას ჰიდრაზინჰიდრატთან მიმდინარეობს ჰიდროქსილის ჯგუფების ნუკლეოფილური ჩანაცვლება ჰიდრაზინული ჯგუფებით.


სქემა 2



3.1.2. 2,3,3,8,8,9 - ჰექსამეთილ-3,8-დიჰიდრობენზო[e]პიროლო[3,2-g]ინდოლი(3)

2,3-ნაფთილენდიჰიდრაზინის (2) კონდენსაციით მეთილიზოპროპილკეტონთან მიმდინარეობს კარბონილის ჯგუფთან ჰიდრაზინის მიერთება-მოხლეჩვის რეაქცია, რის შედეგად მიიღება შესაბამისი ჰიდრაზონი, რომლის ციკლიზაციით მჟავა კატალიზატორის თანაობისას წარმოიქმნება ინდოლენინის ციკლური ნაერთი. ჩვენს მიერ ჩატარებულია 2,3-ნაფთილენდიჰიდრაზინის (2) კონდენსაცია მეთილიზოპროპილკეტონთან და ერთდროული ციკლიზაცია პოლიფოსფორმჟავაში შუალედური დიჰიდრაზონის გამოყოფის გარეშე.


სქემა 3



3.1.3 1,5,6,9-ტეტრაჰიდრო-1,1,2,8,9,9-ჰექსამეთილ-4H-დიპიროლო-[1,2,3-e,f:3,2,1-n,o]ნაფტო[2,3-b][1,4]დიაზეპინისდიბრომიდი (4)

2,3,3,8,8,9 - ჰექსამეთილ-3,8-დიჰიდრობენზო[e]პიროლო[3,2-g]ინდოლი (3) შედის რეაქციაში დიბრომპროპანთან. ხდება აზოტის ატომების ალკილირება დიაზეპინის ციკლის შეკვრით და ბის-მეოთხეული მარილის (4) წარმოქმნა.


სქემა 4



3.1.4 1,5,6,9-ტეტრაჰიდრო-1,1,9,9-ტეტრამეთილ-2,8-დიმეთილენ-4H-დიპიროლო-[1,2,3-e,f:3,2,1-n,o]ნაფტო[2,3-b][1,4]დიაზეპინი (5)

1,5,6,9-ტეტრაჰიდრო-1,1,2,8,9,9-ჰექსამეთილ-4H-დიპიროლო-[1,2,3-e,f:3,2,1-n,o]ნაფტო-[2,3-b][1,4]დიაზეპინის დიბრომიდის (4) ტუტით დამუშავებით მიიღება ფიშერის ფუძის ბის-ანალოგი - 5.


სქემა 5



3.1.5 1,4,5,8-ტეტრაჰიდრო-1,1,2,7,8,8-ჰექსამეთილდიპიროლო-[1,2,3-d,e:3,2,1-i,j]ბენზო[g]ქინოქსალინისდიბრომიდი(6)

2,3,3,8,8,9-ჰექსამეთილ-3,8-დიჰიდრობენზო[e]პიროლო[3,2-g]ინდოლის (3) ურთიერთქმედებით დიბრომეთანთან ხდება აზოტის ატომების ალკილირება ქინოქსალინის ციკლის შეკვრით და ბის-მეოთხეული მარილის 1,4,5,8-ტეტრაჰიდრო-1,1,2,7,8,8-ჰექსამეთილდიპიროლო-[1,2,3-d,e:3,2,1-i,j]ბენზო[g]ქინოქსალინისდიბრომიდის (6) წარმოქმნა.

სქემა 6




რეაქცია მიმდინარეობს შელლობილ ამპულაში, რომელიც მოთავსებულია ე.წ. „ბომბაში“. ტემპერატურა 160-165°C . ხანგრძლივობა 8 საათი. მარილი – დიბრომიდი 6 გამოკრისტალდება შავი ფერის ფხვნილის სახით.

3.1.6 1,4,5,8-ტეტრაჰიდრო-1,1,8,8-ტეტრამეთილ-2,7-დიმეთილენდიპიროლო

[1,2,3-d,e:3,2,1-i,j]ბენზო[გ]ქინოქსალინი (7)

1,4,5,8-ტეტრაჰიდრო-1,1,2,7,8,8-ჰექსამეთილდიპიროლო-[1,2,3-d,e:3,2,1-i,j]ბენზო[გ]ქინოქსალინის დიბრომიდის (6) ცხელწყალში გახსნით, შემდგომი გაცივებითა და თბილ კალიუმის ტუტესთან ურთიერთქმედებით მიიღება ფიშერის ფუძის ახალი ბის-ანალოგი – 1,4,5,8-ტეტრაჰიდრო-1,1,8,8-ტეტრამეთილ-2,7-დიმეთილენდიპიროლო [1,2,3-d,e:3,2,1-i,j]ბენზო[გ]ქინოქსალინი (7).

სქემა 7




3.2 ახალი ნივთიერებების სინთეზი

3.2.1 დიპიროლონაფტოლიაზეპინის ფიშერის ფუძის გარდაქმნები

3.2.1.1 კონდენსაცია 3-ქლორ-5-ნიტრო-სალიცილის ალდეჰიდთან

ფიშერის ფუძის 5 კონდენსაცია 3-ქლორ-5-ნიტრო-სალიცილის ალდეჰიდთან მიმდინარეობს შემდეგი სქემის მიხედვით:

სქემა 8



რეაქცია ჩატარებულია აბსოლუტური ეთანოლის არეში, ჭარბი 3-ქლორ-5-ნიტრო-სალიცილის ხსნარზე წვეთწვეთობით ფიშერის ფუძის ხსნარის დამატებით 1,5 საათის განმავლობაში დუღილის პირობებში. უნდა აღინიშნოს რომ 50°C-მდე რეაქციის მიმდინარეობისას სარეაქციო არის შეფერილობა იყო მოიისფრო ლურჯი, თუმცა ქრომატოგრაფიული კონტროლისას რჩებოდა რეაქციაში შეუსვლელი საწყისი ფიშერის ფუძე, რის გამოც გავზარდეთ ტემპერატურა, ტემპერატურის ზრდასთან ერთად შეფერილობა იცვლებოდა მუქი მწვანეკენ. საბოლოო პროდუქტი გამოიყო სარეაქციო არედან მუქი მწვანე ფერის ნალექის სახით. გამოსავლიანობა შეადგენს 70%-ს. სარეაქციო არის ფერის ცვლილება შეიძლება გამოწვეული იყოს სპიროქრომენის სხვადასხვა ფორმებში გადასხვლით.

მიღებული პროდუქტი კარგად იხსნება ორგანულ გამხსნელებში და ახასიათებს გახსნიას სხვადასხვა შეფერილობა - სოლვატოქრომია. ასევე ამ ხსნარების შეფერილობა იცვლება დღის სინათლეზე დაყოვნებისას.


ნაერთის სტრუქტურა დადგენილ იქნა სპექტრალური ანალიზით:

მას-სპექტრომეტრულად განსაზღვრულ იქნა მიღებული ნაერთის მოლეკულური მასა, რომელიც თანხვედრაშია თეორიულად გამოანგარიშებულთან. მას-სპექტრზე კარგად ფიქსირდება მოლეკულური იონის პიკი, რომელიც მჟღავნდება ქლორშემცველი ნაერთისათვის დამახასიათებელი იზოტოპური პიკების სახით შესაბამისად $m/z=696.1344$ $m/z=694.1175$. (ნახ.8)


ნაერთის იწ სპექტრში (ნახ. 5) ვაზელინის ზეთში ფიქსირდება შემდეგი შთანთქმის ზოლები: 1643 სმ^{-1} ($-\text{CH}=\text{CH}-$ პირანული), 1573 ($-\text{CH}=\text{CH}-$ პირანული, შეუღლებული), $1527(\text{N}-\text{O}$ ასიმ. $\text{Ar}-\text{NO}_2$), $\text{N}-\text{C}$ სპირო (1266სმ^{-1}), $\text{N}-\text{C}$ მესამადი ამინის($1303, 1160, 1126\text{სმ}^{-1}$), $910(\text{C}-\text{Cl}, \text{Ar}-\text{Cl})$, $\text{O}-\text{C}$ სპირო ($879, 833, 748\text{სმ}^{-1}$) ბმების შთანთქმის ზოლები.

დინიტროსპირონაერთის ბმრ- ^{13}C სპექტრი ასევე შეესაბამება სიმეტრიულ მოლეკულას, რომელშიც ერთნაირ მდგომარეობაში ნახშირბად-ატომების ქიმიური წანაცვლებები ერთმანეთს ემთხვევა, ამიტომ სპექტრში ფიქსირდება 19 პიკი, რომლებიც შეესაბამება 19 განსხვავებული ნახშირბად ატომის ბირთვების სიგნალებს რეზონანსულ სპექტრში. მათი მიკუთვნება შესაძლებელი გახდა ადრე სინთეზირებული სპირონაერთების ბმრ სპექტრებთან და ასევე შესაბამის თეორიულ სპექტრთან შედარების საფუძველზე. ძლიერი ველის უბანში ფიქსირდება ალკილური ნახშირბად ატომების ბირთვების სიგნალები, სუსტი ველის უბანში მჟღავნდება ჟანგბადისა და აზოტის ატომებთან დაკავშირებული არომატული C -ბირთვების სიგნალები, მათ შორის მჟღავნდებიან დანარჩენი ბირთვების სიგნალები.


ნახ.5 ბის(6-ნიტრო-8-ქლორ-2H-ქრომენ-2-სპირო)1,5,6,9-ტეტრაჰიდრო-1,1,9,9-ტეტრამეთილ-4H-დიპიროლო-[1,2,3-e,f:3,2,1-n,o]ნაფტო[2,3-
b][1,4]დიაზეპინი (8) იწ სპექტრი (ვაზელინის ზეთი)




ნახ.6 ბის(6-ნიტრო-8-კლორ-2H-ქრომენ-2-სპირო)1,5,6,9-ტეტრაჰიდრო-1,1,9,9-ტეტრამეთილ-4H-დიპიროლო-[1,2,3-e,f:3,2,1-n,o]ნაფტო[2,3-
 ხ][1,4]დიაზეპინი (8) ზმრ-¹H სპექტრი (DMSO-d₆)



ნახ.7 ბის(6-ნიტრო-8-ქლორ-2H-ქრომენ-2-სპირო)1,5,6,9-ტეტრაჰიდრო-1,1,9,9-ტეტრამეთილ-4H-დიპიროლო-[1,2,3-e,f:3,2,1-n,o]ნაფტო[2,3-b][1,4]დიაზეპინი (8) ბმრ-¹³C სპექტრი (DMSO-d₆)




ნახ.8 ბის(6-ნიტრო-8-კლორ-2H-ქრომენ-2-სპირო)1,5,6,9-ტეტრაჰიდრო-1,1,9,9-ტეტრამეთილ-4H-დიპიროლო-[1,2,3-e,f:3,2,1-n,o]ნაფტო[2,3-
ბ][1,4]დიაზეპინი (8) მას-სპექტრი



3.2.1.2 კონდენსაცია 3,5-დიბრომსალიცილის ალდეჰიდთან

1,5,6,9-ტეტრაჰიდრო-1,1,9,9-ტეტრამეთილ-2,8-დიმეთილენ-4H-დიპიროლო-
[1,2,3-e,f:3,2,1-n,o]ნაფტო[2,3-b][1,4]დიაზეპინის (5) ურთიერთქმედებით 3,5-დიბრომ-
სალიცილის ალდეჰიდთან, რომლის შედეგადაც მიიღება ბის(6,8-დიბრომ-2H-ქრომენ-2-
სპირო)-1,4,5,6,9-ჰექსაჰიდრო-1,1,9,9-ტეტრამეთილ-4H-დიპიროლო-[1,2,3-e,f:3,2,1-
n,o]ნაფტო[2,3-b][1,4]დიაზეპინი. რეაქცია მიმდინარეობს აბსოლუტური ეთანოლის არეში
≈4 სთ-ის განმავლობაში. ალდეჰიდის მოლური თანაფარდობა ფიშერის ფუძესთან არის
3:1. $t \approx 55-60^{\circ}\text{C}$. რეაგენტების შერევისთანავე სარეაქციო არე იღებს მოყვითალო
შეფერილობიდან ინტენსიურ ჭაობისფერს, რომელიც გადადის ლურჯ შეფერილობაში.
თანდათან სარეაქციო არიდან გამოიყოფა რეაქციის პროდუქტის მოთეთრო-
მოკრემისფრო კრისტალები. გამოსავლიანობა 45%.


სქემა 9




მიღებული პროდუქტი კარგად ხსნადია ქლოროფორმში და შეფერილობა
ყვითლიდან იისფერში გადადის. ასევე არგად ხსნადია ფენზოლში. თუმცა ძნელად
იხსნება სპირტში აცეტონსა და დიეთილის ეთერში. ახასიათებს გახსნისას სხვადასხვა
შეფერილობა - სოლვატოქრომია.

ნაერთის იწ სპექტრში შეინიშნება : 1640 ($-\text{CH}=\text{CH}-$ პირანული), 1270 (N-C სპირო)
1156, 1127 (N-C მესამადი ამინის), 883, 856, 825 (O-C სპირო), 671 (C-Br), 1522, 1443 ($-\text{C}=\text{C}-\text{Ar}$), 2965, 2923, 2854 (CH_2), 2113, (CH_3) ჯგუფების მახასიათებელი შთანთქმის
ზოლები.

ნახ.9 ბის(6,8-დიბრომ-2H-ქრომენ-2-სპირო)-1,4,5,6,9-ჰექსაჰიდრო-1,1,9,9-ტეტრამეთილ-4H-დიპიროლო-[1,2,3-e,f:3,2,1-n,o]ნაფტო[2,3-
 ხ][1,4]დიაზეპინის (9) იწ სპექტრი



ნახ.10 ბის(6,8-დიბრომ-2ჰქრომენ-2-სპირო)-1,4,5,6,9-ჰექსაჰიდრო-1,1,9,9-ტეტრაჰეტილ-4H-დიპიროლო-[1,2,3-e,f:3,2,1-n,o]ნაფტო[2,3-b][1,4]დიაზებინის (9) ბმრ-¹H სპექტრი (ბენზოლი-d)



ტეტრაბრომსპირონაფთოდიფენის 9 ბმრ - ^{13}C სპექტრი შეესაბამება სიმეტრიული მოლეკულის სტრუქტურას. ველის ყველაზე სუსტ უბანში ვლინდება ნაფთალინის ბირთვის პროტონების სიგნალები დუბლეტ-დუბლეტური ორი პიკის სახით ორთო- და მეტა სპინ-სპინური კონსტანტებით: 7.23(10-H) და 8.07 (11- H), შემდეგ მოდის ქრომენული ნაწილის არომატული პროტონების სიგნალები: ორი დუბლეტური პიკი მეტა კონსტანტებით 6.79(5'- H) და 7.36(7'- H). პირანის ბირთვის ალკენური ტიპის პროტონების სიგნალები ვლინდება ორი სიმეტრიული დუბლეტის სახით 5.39მნ(3'- H) და 6.14 მნ(4'- H) სპინ-სპინური ტოლი კონსტანტებით - 10.3 ჰც, რაც ალკენური პროტონების ცის-კონფიგურაციას შეესაბამება. ეს კი მიუთითებს სპიროქრომენის დახურული - ციკლური ფორმის არსებობას.

სპექტრში აღარ ვლინდება საწყისი ფიშერის ფუძის მახასიათებელი ეგზოციკლური =CH₂ პროტონების სიგნალები. ველის ძლიერ უბანში ვლინდება მეთილის ჯგუფების ორი სიგნალი მაღალინტენსიური სინგლეტების სახით 1.17 და 1, 69 მნ. ესეც ასევე სპიროპირანის ციკლური ფორმისათვის არის დამახასიათებელი.


დიაფენის ბირთვის პროტონებიდან კვინტეტურ სიგნალი მივაკუთვნეთ C-5-თან მდგომ პროტონებს 3,09 მნ, სიგნალის ინტენსივობა ორ პროტონს შეესაბამება. რაც შეეხება დიაფენის ბირთვის C-4 და C-6 ნახშირბად ატომებთან მდგომ პროტონების სიგნალებს, სპექტრში ვლინდება ერთი ტრიპლეტის სახით 2.60 მნ-ზე (J=11,6) და ერთი დუბლეტური ტრიპლეტის სახით 1.48 მნ(J=13,6;6,1.). ეს სიგნალები ინტენსივობით 2 პროტონს შეესაბამება თითოეული.

3.2.1.3 კონდენსაცია 2-ჰიდროქსი-5-ნიტრობენზ ალდეჰიდთან

